

N 19.

## უნივერსალური კუზიშები

დოლარი და კაპიტალის ემიგრაცია

თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეების  
თურქეთს პატარა ამერიკა დაარჩევს.

პირდაუბანელ ბაჯბაჯა თურქეთს  
სუსს ამერიკის ტონი აიღოს, —  
— ჩვენ ვართ პატარა ამერიკა, —  
ამბობს და, იყოს, იაზერავოს;  
მოლობს და მოლობს ეს ამერიკა  
დადი რა არის, მცირე რა იყოს!?



# სიცოდური მართა

საქართველოს კონფედერაციის პარლიმენტის (ბ) XIX ყლილობას

ღლე ემატება სამშობლის,  
მშვიდობის ღიღა თენდება,  
ჩვენი ქვეყანა სიმღერით  
და სიხარულით შენდება!

განთიაღიერით გამშილი  
ეროშა ცად აუმართია,—  
და გამარჯვებას ზემობს  
გამარჯვებულთა პარტია!

მისი ლიმიდი ყოველთვის  
ეღვა-ქუხიდის დარია,  
საჭაც ის არი—მზე არი,  
საჭაც ის არი—დარია!

მისი ჩაქუჩი მტკიცედ სცემს,  
მისი ნამგადიც მარტია,—  
მუხუთე ხუთწმედეს აშენებს  
მშრომელი ხაღის პარტია!

ხუთქიმიანი ვარსკვდავი,  
საღაც კი გაიციმუმებს,—  
ვერ მოერევა ღრუბელი,  
გასჭრის ღამეთა სიმძიმეს?

ვარსკვდავთა მიღიონების  
უქრობ ხომლივით ანთია —  
პარტია ღიღი ღენინის —  
ღიღი სტადინის პარტია!

## „თელასის“ პლომბები და საშაქრები

პლომბი — ეს პატარა ტეიფარია, ზონარეგული ტყვიის ლილიკა, რომელსაც კარგბზე, ან რაიმე მექანიკურ მოწყობილობაზე ამაგრებენ მისი „დაკეტილობის“ დასაცავად და შესამოწყობლად.

პლომბი — სტომატოლოგიაშიც გახლავთ — დაზიანებული კბილის დასაცავად და მას ბერს უწოდებენ. არის პლომბი აგრეთვე ამათუმი ნაწარმზე მიმაგრებული — მისი ფირმისა, თუ გამკეთებლის პირიანობის მაუწყებლად და დასაცავად.

როგორც მკითხველს ამ წერილის სათაურივე ჩააგდებს გულისხმაში, ჩვენ „თელასის“ პლომბზე გვსურს გასაუბრება. შეიძლება ზოგს გაუკვირდეს და გვითხრას:

— ელექტრონი ხომ ოცნებასავით ლალი და თავისუფალი სტიქია, მისი „დაკეტილობა“ ვის გაუგონია? ეს, რასაკვირველია, გულუბრყვილობაზე მეტიც იქნებოდა და ჩვენ „თელასის“ მაგიერ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პლომბის უდიდესი როლი აქვს დაკისრებული ამ ლალი სტიქის განაწილება-გამოყენებაში, მის დაცვაში, რათა ელექტრონი უგზო-უკვლოდ არ იკარგებოდეს, რომ ის, ასე ესთქვათ, „თელას“ ჯიბილად არ ამოაცალონ და არ გაიტაცონ.

ნათქვამს, ამ შემთხვევაში, ხუმრობად ნუ ჩაგვითვლიან, ჩვენ პირდაპირ სამეურნეო-საექსპლოატაციო თვალსაზრისით ვლაპარაკობთ.

როგორც მოგეხსენებათ, „თელასს“ თბილისის მცხოვრებთა თითქმის ყველა ბინაში გაყვანილი აქვს თავისი ქსელი, ქსელს თავისი სააღრიცხვო წერტები აქვს, წერტები — მრიცხელებით განისაზღვრება.

ჰოდა, აი ამ ელექტრომრიცხველებს აქვს პლომბები, ყველა მრიცხველს — თავისი პლომბი. განა ერთი? ორი პლომბი — ზემოდან და ქვემოდან. თქვენ, უბრალო და გულუბრყვილო მოქალაქეს, შეიძლება ეს პლომბები უბრალო, მრიცხველის დასამზადებელი ფირმის მაუწყებელი დამლაც კი გეგონოთ!

არა, ეს ის დამლებია, რომლებმაც ზემოხსენებულ მოსაზრებათა გარდა, თქვენს კეთილსინდისიერებას ფხიშლად უნდა უფალთვალონ, ვინაიდან „თელასი“ ვალდებული არ არის სჯეროდეს, რომ (უკაცრავად ამ სიტყვისათვის) თქვენ ათასი ტექნიკური მაქინაციის საშუალებით არ ამოაცლით მას ჯიბილან ჩამდენიმე კილოვატ ელექტრონს და არ გაიტაცოთ.

რამდენადაც ანგარიში, როგორც ასეთი — უგრძნობოა, იმდენად ზემოხსენებული მოსაზრებაც სამართლიანი გახლავთ და არც ერთ ელექტრომრმბენებელს (მათ შორის ჩვენც) იმის საწინააღმდევო არაფერი შეიძლება გვქონდეს, რომ „თელასმა“ პლომბებით ზომოს ჩვენი კეთილსინდისიერება, ვინაიდან ჩვენ ვალდებული ვართ არათუ დავეთანხმოთ „თელას“ სწორი კონტროლის გაწევაში, არამედ კიდეც უნდა დავეხმაროთ მას ამ საქმეში. მაგრამ კონტროლი ხომ მაშინ აღწევს მიზანს, მაშინ იძლევა ნაყოფიერ შედეგს, როცა მას არ ამახინჯებენ, როცა მას სწორად და სისტემატურად ატარებენ. სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოთ, რომ ამ მხრივ ზოგი რამ რიგზე ვერ ვამოიყენება აბონენტებთან ამ დაწესებულების დამოკიდებულებაში.

პატარა მაგალითი:

„თელასის“ საუბონ განყოფილებებმა შეამოწმეს ბინებში დადგმულ მრიცხველები, რომაც ახირებული მიზეზის გამო,



ლეზიზორი: — რაა, გაცო, ეს? ნახევარი კვერცხი ჩახაბარებლად გეყოფათ, საჭიროდ გეყოფათ, აუ  
რევიზიის ჩახატარებლად?

— ნახევარი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო, ხომ გაგიგონია...

## ჩამწყვდეული ბუზები

ბევრ მრიცხველს თითო პლომბი აღმოაჩნდა: კოლოფის ქვედა  
პლომბი, მეორე კი—არა. ეს მომაკედინებელი საექსპლოატა-  
ციონ ცოდვა რატომლაც თვით მომხმარებელს ბრალდება და,  
ყოველგვარი გაფრთხილების მიუცემლად, ყოველგვარი მიზე-  
ზის გამოურკვევლად ისინი ცხადდებიან ბოროტომშედებად.

აი, უცებ აღმოაჩნა ინკასატორმა თქვენს მრიცხველზე  
ცალი პლომბი. თქვენს შორის ასეთი დიალოგი იწყება:

— ეს რა არი? პლომბი რად აგიგლეჯიათ?—გეკითხებათ  
დამსჯელის ტონით ინკასატორი.

— რატომ უნდა ამეგლიჯა? აზრადაც არ მომსვლია მი-  
სი აგლეჯა.

— ჰა! ერთი უყურეთ „მიამიტს“! აგიგლეჯიათ ელექ-  
ტრონის მოსაპარია!

— რას ბრძანებთ, რად მინდოდა მოპარეა? დახარჯული  
ენერგია ხომ ნაჩერებია მრიცხველში? შეადარეთ ძველ და-  
ნახარჯეს.

— პიდა წინათაც მოგიპარიათ!

— რას ამბობთ, საიდან აიღეთ?

— იქიდან, რომ ცალი პლომბი აგიგლეჯიათ!

— რად მინდოდა პლომბი?

— იმიტომ, რომ ელექტრონი მოგეპარიათ!

და იწყება ასე „ხუცესს ყავდა“-ს მსგავსად, სანამ ინკა-  
სატორი მრისხანე ქვითარს არ გამოგიშერთ... თქვენს ბინაში  
არსებული წერტების, ე. ი. შტეპსელებისა და ნათურების  
რაოდენობის მიხედვით, ან „ნარდად“.

მაგრამ მადლობა „თელასელების“. ამ გადასახადს ისინი  
ჯარიმას როდი უწოდებენ. არა, ამას „სავარაუდო“ გადასა-

ხადი ჰქვიან, რომ არ გეწყინოთ ასეთი მქახე სიტყვა მას  
შემდეგ, რაც ინკასატორმა ქურდიც გიშოდათ, მაქინატორიც,  
ენერგიის გამნიავებელიც.

ამბობენ: ეს ზომა მიმართულია ელექტრონის მტაცებელ-  
თა წინააღმდეგო.

კეთილი და პატიოსანი, უფრო მეტადაც უნდა შევე-  
ბრძოლოთ მათ, მაგრამ განა სწორედ აქ არ მართებთ „თე-  
ლასელებს“ ისეთი მეთოდის გამონახვა, რომ პატიოსანი მომ-  
ხარებელიც ეჭვის ქვეშ არ დააყენონ?

მაგალითად, რა გამაფრთხილებელი წესი ახლავს თან  
მრიცხველს, როდის ასწავლეს აბონენტს პლომბის დაცვა? რა  
საბუთი არსებობს, რომ მონტიორმა ოდესლაც ნამდვილად სამ-  
პლომბიანი მრიცხველი დადგა ბინაში? აი, რა ნაკლი მოი-  
თხოვს გამოსწორებას. ეგცე არ იყოს, ეს მრიცხველები ხომ  
თვით „თელასის“ მიერვეა დადგმულ ბინებში? ხომ თვითონვე  
ამოწმებს აღნიშულ მრიცხველებს და რაიმე დეფექტის წარ-  
მოშობის შემთხვევაში, ვალდებულია ისინი ახლით შეცვალოს?  
განა თვეში ორჯერ მაინც არ ნახულობენ მისი ინკასატორები  
მრიცხველებს, როცა დახარჯული ენერგიის საფასურს უწე-  
რენ მომხმარებლებს?

ნუ დაგვძრახვენ „თელასელები“, ვიმეორებთ: ჩევნ სრუ-  
ლებითაც არა ვართ პლომბების წინააღმდეგი: იყოს ორი, სა-  
მი, თუნდ მეტიც, მაგრამ იყოს მათზე წესიერი კონტროლიც,  
როგორც დადგმის, ისე ექსპლოატაციის პერიოდში, რომ მისი  
პლომბები—ილიას „მგზავრის წერილების“. იმ ოფიციალური სის-  
ტემას არ დაემსგავსოს, რომელმაც ქურდის აღმოსაჩენად—სა-  
ზაქრები ბუზები ჩამწყვდია.

ფასადანი



# სტუმრადი ასპინიან სახლში

გადავწევიტე ქველი მეგობრის თხოვნა შემცირულებინა და თბილისში სტუმრად ვეწვე. ვიცოდი, გმირთა მოედანზე, ლენინის ქ. № 63, ასპინიან სახლში ცხოვრობდა, მაგრამ აღარ მას-სოედა რომელ შესასელელით უნდა მოვხვდერილიყავ მასთან. ჩამოვუარე ყველა შესასელელს და დაფებზე წავიკითხე მცხოვრებთა სახელები და გვარები. სამწუხაროდ, წარწერები ძნელად გავარჩი. ბოლოს, როგორც იყო, ვიმოვნე ჩემი მეგობრის მისამართი და ლიფტს მოვაშვირე.

— ლიფტი გაფუჭდა და არ მუშაობს, — „მანუგეშა“ ლიფტზე მომუშავე ქალმა. რას ვიზამდი? მეხუთე სართულზე ფეხით ავუყვით.

მივდევდი სართულებს და გართობის მიზნით ვკითხულობდი კედლებზე უცხო წარწერებს. შეურაცხმუნფელი სიტყვები, ადამიანთა სახელები და ხელოვნური ლაქები აუზნებდა ახლად შელებილ კედლებს, კიბები მონავეიანებული იყო, მაგრამ აქ იმან მიშველა, რომ კიბის ამდენიმე საფეხურს ერთად ვაბიჯებდი და ბევრი რამ კიდევ ვერ შევნიშნე.

„გულითა მხიარულითაო“ რომ იტყვიან ხოლმე, ისე მიმიღო ჩემმა მასპინძელმა. რადგან ვახშმად მიმიპატიუა, წინასწარ ხელების დაბანვა მოხვევა. ონგანს მავაშურე, მაგრამ წვეთი არ მოდიოდა.

— თვეში 30-40 მანეთს მარტო წყლის გადასახადს მახდევინებენ და წყალს ისე ხშირად გვიწყვეტენ ხოლმე, რომ მარაგის აღებასც ვერ ვასტრებთ, — ცოტა ნაწყენი კილოთი მითხრა ჩემმა მასპინძელმა გიორგიმ. ხელები ჩაიდანში დარჩენილი წყლით დავიბანე და ვახშმობას შევუდევით.

— კარგი ყოფილა თბილისში ცხოვრება. თუ წყლის ფულს ბევრს გახდევინებენ, სამაგიროდ ორივე მხრიდან მეხობლები მუსიკით და სიმღერებით გართობენ უფასოდ-მეთქი, — მეგობრული ხემრიბით გადავუკარ ჩემს მასპინძელს...

— ეს სწორია, თუ შენ გინდა მოისმინო მუსიკა, ან სიმღერა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ამბავი ღამის 12 საათის შემდეგაც გრძელდება და არ გაძინებს, აი რა არის კარგი, ჩემო ივანე!

ქალაქისა და სოფლის ამბებზე საუბრის შემდეგ, მოსვენებას მიეცით თავი და მართლურ მუსიკის უკანასკნელმა მელოდია.

დიებმა ძილი დამიფრთხო. გათენებისას კი — ღრმა ძილში მომესმა აეტომანქანის საყირის გაბმული ხმა. ნამდინარევმა შექმნება საათს დავხედე. ღილის 5 საათი იყო. მანიც გრ მივხვდი ასე უნათებლივ ვის უძახდა აეტომძღოლი? სინათლე ჩაგაქრე და წართმეული ძილის გაგრძელება დავაპირე. ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე აეტომანქანის საყირის ხმა და მძღოლების შეძახილები ერთად მომესმა. ვიფიქრე ხანდარი ხომ არ გაუჩნდა ასპინიან სახლს-მეთქი და აივანზე გამოვედ.

ჩემი უდროოდ გაღვიძების ამბავი მასპინძელსაც შეენიშნა თურმე და დილით ბოლიშის მოხდით მითხრა: ზოგი მობინადრე სანადიროდ ადრე მიდის ხოლმე და, აღბათ, ისინი იქნებოდნენო. რა შემეძლო მეთქვა ამ მუცდროების დარღვევაზე, როცა სხვის ბინაში ვიყავი?

იმ მოსაზრებით, რომ მასპინძელი არ შემეწუხებინა, დალით აივანზე გამოველ და თბილისის არემარის დათვალიერებას შევუდევი. ბევრი კარგი რამ გაქოთებულა თბილისში: ქალაქს შეუცვლია სახე; გრძელდება კეთილმოწყობა, ლამაზდება დედაქალაქი.

უცებ ჩხრიალის ხმა მომესმა და ზემო სართულიდან თავზე ჩამომესხა წყალი. გვერდზე გავდევი. შევიხდე ზევით და დაგვინახე ერთი გოგონა როგორ უსხამდა წყალს ყვავილებს. ყვავილების მოყვარული კაცი ვარ და გოგონას ვერაფერი ვკადრე. გავიფიქრე: იქნებ დილითაც მასპინძელს წყალი არ ჰქონდეს და რადგან თავი დამისველდა, პირისახესაც ამ წყლით დავიბან-მეთქი. ყოველ შემთვევისათვის ასეც მოვიქეცი.

უნებურად იგნის იატაკიც დავათვალიერე. ჭუჭყიანი, ნახევი ქალალდები, პაპიროსის ნამწვავები, ატმისა და ჭანჭურის კურებები და სხვა მრავალი ნაგვის „ინენეტარი“ ამჟობდა.

— ესაო, — საუბრისას ხუმრობით მითხრა ჩემმა მასპინძელმა, — ჩემნი ზევითა სართულის მეზობლების მიერ გადმოყრილი ნაგვია, აღბათ სანავე ყუთში ჩატანა დაეზარათ. უხერხულობიდან გამოსაყანად საუბარი სხვა თემაზე გადავიტანე.

— თვეში უბანში კინოთეატრი თუ გაქვთ?

— არა. — საპარიკმახერო? ამაზედაც უარით მიპასუხა. — მალაზიები?

მაღაზიები შენობის პირველ სარტყელზე არის, მაგრამ სურსათ-სანიდები, მეტე სამწუხაროდ, ყოველთვის არ შოაქვთ.

— სასაღილო?

— სასაღილო იყო, მაგრამ დაკეტეს.

— ბიბლიოთეკა?

— სამწუხაროდ არც ბიბლიოთეკა ჰქმავს და არც კლუბი, — თუმცა ამის მოწყობა შესაძლებელიც არის და აუცილებელიც. — გულდა წყვეტით მიპასუხა ჩემმა მასპინძელმა.

ღილის 9 საათი შესრულდა. ასპინიანი სახლის შესასვლელთან მრავალმა ავტომანებამ მოყარა თავი. საყირების შემზარება ძახილმა სახანძრო რაზმის მანქანების მიერ შექმნილი განგაში გამახსენა. მაინც ვერ გავერკვევ რათ აღლევენ აეტომძღოლები სიგნალებს, როდესაც ისინი გარკვეულ დროისათვის არიან დაბარებულნი?

იმ მიზნით, რომ რაიონში ერთად წავსულიყავით, — ჩემს თანამგზავრთან ტელეფონით დალაპარაკება ვცალე, მაგრამ, სამწუხაროდ, ტელეფონი მოშლილი აღმოჩნდა.

— ნუ გაგიკვირდება, აქ ასეთი შემთხვევა ხშირია, — მითხრა მასპინძელმა.

საუზმის შემდეგ მაცლობა გადავუხადე, გამოვგემშვიდობე და ასპინიან სახლის ეზოში ჩამოვედი.

აუარებელი ხალხი შემოდიოდა ეხო-ში და გადიოდა გარეთ. როდესაც შემოსასვლელ კარებთან მდგომ დარაჯს შეეკითხე ეს რა ხალხია-მეთქი, — მან მიპასუხა: — რა ვიცი, აქ ვეყანა მოდის, და მიდის, ამას წინათ მალაზიაც გატენებული და საქონელი წაიღის, ამა, რა გავი-გო რინის მოდის და რისოვის მოდის და რისოვის მიდისო. მეც გამოვგმრუნდი ეზოდან და გავუდევი ჩემს გზას...



პატივცემულო ნიანგო! მე თბილისში სოფლიდან ჩამოსული კაცი ვიყავი და, ამა, ვისოცის რა შემებლო მეთქვა? ვიგრძენი მხოლოდ მასპინძლოს უხერხულობა, რაზედაც გთხოვთ ბოლიში მომ.

ერთი კი მინდა გთხოვთ: იქნებ დაეხმაროთ ასპინიანებს ზემოსმოთ-ვლილი საკითხების მოგვარება ში?

ამბობენ, ახლა თბილისში მეზობლების შემცირებლობა უნდა დაიწყონა და თუ ასპინიანში არ მოგვარეთ ეს საკითხები ახლავე, — მრავალბინიან და მრავალსართულიან სახლებში ხომ უფრო გართულდება ეს?

პატივცემულო იგნები იგნები მესამედი იგნები





ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების განცოფილებას აქვს მრავალი ვაგონი - შალაზია. ერთ-ერთ ასეთი მაღაზის გამგედ თბილისში მუშაობდა ვინმე ალ. მელქაძე. დავორია მაღაზია, „მუშაობდა“ ალექსი და ამ გორაობა - შრომაში გარკვეული თანხა შემოეფლანგა. გარკვეული დანაშაულის გამო, მელქაძემ გარკვეული სასჯელი მიიღო: იგი თანამდებობიდან მოხსნებ.

მელქაძე მგორია მაღაზიდან გადმოაგორეს, მაგრამ რაკი ერთხელ მოძრაობაში მოსული იყო, ინერციით იგორა და სამტრედიაში ჩაგორდა. აქ მას დახვდა სამტრედის განცოფილების გამგე შედლიშვილი, მელქაძი შეუშვირა, შეაჩერა და უახოცია:

— შეჩერდი, ლექსო, ამაზე უკეთეს ადგილს ვერსად იშოვნი!

— ვერ შევჩერდები! — იყვირა ლექსომ და გზა განაგრძო. მაშინ მეტედლიშვილმა კვერთის მაგივრ — ბრძანება მიაწოდა ლექსოს. ბრძანებაში კი ეწერა: მოქალაქე ლექსო სამტრედიაში მუშაობს, მაგრამ რაკი კვალიფიკაციის ამაღლება ესაჭიროება, ხარკოვის სასწავლო კუნძულიში შემინატუში მიყლინებით ვგზავნით.

კუნძულში კვალიფიკაციის ამაღლების პერიოდში სწერ. და სწერდნენ თბილისელები სამტრედიელებს — ალექსი — გამფლანგველია, ახლოს არ გაიკაროთ, თორემისე გადაგვამოთ, თვალის დაბამამებას ვერ მოასწრებთოთ.

მაგრამ სამტრედიელი რკინიგზელები თურმე სხვა ენაზე ლაპარაკობენ და თბილისელების წერილები ვერ წაიკითხეს.

დაბრუნდა ალექსი კუნძულიდან და № 2 ვაგონ - მაღაზის გამგედ დანიშნება.

იგორია ამ ვაგონმა, იგორია და სადგურ ურკვში გაჩერდა. ვაგონ - მაღაზია კი გაჩერდა, მაგრამ ალექსის რა გააჩერებდა! მიჰყო ხელი სახელმწიფო დოკუმენტს და დღედალაშ „სამტრედიავ, შენი ჭირიმეს“ ძლიერობა.

ვინ მოთვლის რამდენი სწერეს ურკველებმა სამტრედიელებს — მოხედეთ ლექსოს, ცოდოა ბიჭი, ყელზე არაფერი და აღესო. მაგრამ სამტრედიელმა რკინიგზელებმა ვერც ეს ენა გათვეს.

ბოლოს ალექსის მართლაც დაადგა ყელზე... არა მაღაზის ქონება, არამედ ერთი გოგონას სიყვარული. ლეინით გალეშილმა, კვალიფიკაციამაღლებულმა ვაგონ - მაღაზიაში შეიტყუა ეს გოგონა და შეურაცხოფა მიაყენა.

ვაგონ - მაღაზიას, მართლია, ცუდი პატრონი ჰყავდა, მაგრამ ხსენებულ გოგონას კარგი პატრონი აღმოაჩნდა და ლექსო „მოძრავიდან“ „უძრავში“ გადააბრძანეს. ამ ბოროტმოქმედებასთან შეთავსებით მას 17 ათასი მანეთის გაფლანგვაც აღმოაჩნდა.

ლექსოს მფარველი მეტედლიშვილი კი ნაწყენი დარჩა, რადგან ლექსოს თეორიული დონე აუმაღლა და პრაქტიკულად კი იმდენი არ აცალეს, რომ მფარველისათვის სამაგიერო... მადლობა გადაეხადა.

ბ. ურეკელი



თუმც დანაკვისი უპოვეს, პროკურატურას გადასცეს, მაინც არ მოხსნეს ხაიმი. საქმე მოთავდა ყაიმით...

### როგორ ვიკოვოთ ლაგნავავეს?

ამას ჭინათ, ა/კ რკინიგზის მუშათა მომარაგების განცოფილების უფროსის მოადგილე მლებრიშვილი საქონლის გისანაწილებლად დაჯდა.

— რა იწევდა, რომ კვერცხის განაწილებაში სამტრედიაც მოვახვედროთ? — ვანაცხადა მან.

— სამტრედია, ბატონი, თვითონ კვერცხის ქვეყანაა. სამტრედიაში ქათამი კვერცხის ისე სდებს, რომ კაკანიც არა ჭიდება! — მოახსენეს თანამშრომლებმა.

— თქვე კაი კაცო, ზედმეტი ვის მოჭარბებია! — ვაიკვირა მლებრიშვილმა და სამტრედის მუშათა მომარაგების განცოფილებისათვის 33.000 ცალი კვერცხის ვაგზანა ბრძანა.

— კი მაგრამ, კვერცხი ხომ მესამე ხარისხისაა, სამტრედიამდე მგზავრობას ვერ გაუძლებსო. — ვაახსენეს მას.

— დღესვე გავგზავნოთ, გაუძლებსო, — ბრძანა მლებრიშვილმა.

თანამშრომელთა ჭინამწარმეტყველება მართალი გამოდგა. კვერცხით დატვირთული ვაგონი მხოლოდ რვა დღის შემდეგ მიადგა სამტრედის.

რაკი მომხმარებლებმა შეიტყეს, რომ მალე ამ კვერცხებიდან წიწილები გამოხტებოდნენ, კვერცხის ყიდვა შეაგვირებებს.

10,000 ცალი კვერცხი გაუსალებელი დარჩა!

ახლა გამომძიებელი გაფაციცებით დაეძებს დამნაშავეს, დამნაშავეს, რომელმაც შედარებით ნაკლები მყიდვები მოატყუა და ეს ათი ათასი ლაყვ კვერცხიც მომხმარებელს არ მიყიდა.

აი, შემთხვევა, როცა კაცი ცხენს ზის და ცხენს დაეძებს.

ტ. ხელიძედელი

რედაქტორი კარლ კალა კალა კალა კალა. საბრედაპირო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უსა ჯაფარიძე, ი. ნინეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. Редакция и редакторы: მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტეл. 3-10-43.

სელმოწ. დასაბ, 1952 წ. 14/ქ. სტამბა „ზარია ვასტოვა“, რუსთაველის პროსპ. № 42, შეკ. № 2494 გამოც. № 19. ტირ. 15.000. ფ. 14320.

„ჩვენ ხშირად ვითვლით პირუტყვის ბევრ სულს, მაგრამ ბორცი და რძე  
ნაკლებად გვაქვს“.

საჭ. კომისარი პარტიის (ბ) XV ყრიდობის მასალებიდან,

ნახ. ი. ქვეთაშვილის  
0101065570  
გიგანტის



— დამთვალიერ და შილეთ: — ორას ხაშოცდათ ხულს გაძარებთ.  
— ხულს კა ვვაჩარებთ, მაგრამ რძე და სორცა კის მოვთხოვთ?